MES 0 23 0001030060

24/08/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 10 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/85065198295?pwd=U2MyZzVHKzZwM2F2Skh1anM1TUN4Zz09
Meeting ID: 850 6519 8295
Passcode: 052576

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნინო საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ზაზა ამირეჯიბი - მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების მენეჯერი
ვერიკო ბაზალი - „ველოტურის გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
გიორგი ენუქიძე - „კანიონინგის გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ზურაბ ბურდული - „ჯომარდობის გიდის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მოწვეული დარგის ექსპერტები:

ტიტე მეძმარიაშვილი
ვახტანგ ჩიხრაძე
დავით ქაცარავა
ირაკლი უგულავა
ირაკლი ჟღენტი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ /01658/ წალენჯიხის რაიონის სოფ. ჩქვარელში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საფეხმავლო გამყოლი“ /01675/ ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური“ /01652/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური“ /01653/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური“ /01654/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კანიონინგის გამყოლი“ /01657/ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში -პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეტეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
8. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი“ /01659/ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
9. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ველოტურის გამყოლი“ /01651/ მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
10. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური“ /01655/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
11. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური“ /01656/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
12. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური“ /01660/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ /01658/ წალენჯიხის რაიონის სოფ. ჩქვარელში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780675 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ტიტე მეძმარიაშვილმა განახორციელეს ვიზიტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩქვარელში, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული გადამზადების პროგრამის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენელთან და პროგრამის
განმახორციელებელ პირებთთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.4 და 1.7 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით:
ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ დაშვების წინაპირობებში დამატებით განისაზღვროს:

1. სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
2. დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები''.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის აღწერის ველში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და მითითებულია პროგრამის ხანგრძლივობა 360 საათი. რეკომენდებულია გასწორდეს და ჩაიწეროს 364 საათი, რადგან პროგრამის განაცხადით განსაზღვრული პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, პირველ კვირაში სასწავლო დატვირთვა არის 40 საათი, ხოლო მომდევნო 9 კვირაში 36 საათი. სულ პროგრამის საათების რაოდენობა შეადგენს 364 საათს.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული გადამზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩქვარელი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ, რომ ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ტურიზმის სფეროში სულ უფრო აქტუალური ხდება მდგრადი, ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებაზე ორიენტირებული სერვისები. წინა პლანზე გამოვიდა ეკოტურიზმი, რომლის შემადგენელ ნაწილს საცხენოსნო ტურიზმი წარმოადგენს.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომელშიც საცხენოსნო კომპანიები იღებდნენ მონაწილეობას და USAID - ის მიერ 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში -„ პოლიტიკის ნარკვევი - ტურიზმის სექტორი საქართველოში“ ერთ - ერთ გამოწვევად, ტურიზმის სექტორში დასაქმებული კვალიფიციური კადრების ნაკლებობა სახელდება.

შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ და კერძო კომპანიების სურვილმა, გამოწვეულმა, უკვე დასაქმებული კადრების გადამზადების აუცილებლობით, სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა პროფესიული გადამზადების პროგრამა „საცხენოსნო ტურის გამყოლი“.

სალომე ქუთათელაძემ პროგრამის მიზანთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის მიზანია საქართველოს შრომის ბაზარს მიაწოდოს კვალიფიციური საცხენოსნო ტურის გამყოლი, რომლებიც როგორც კომპეტენტური გიდები, გაუძღვებიან: ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის და ხანგრძლივობის საცხენოსნო ტურისტულ მარშრუტებზე, გაუკვალავ და მონიშნულ ბილიკებზე და თოვლიან ზედაპირზე, იქ სადაც გამორიცხულია ზვავსასიშროება. საცხენოსნო ტურის გამყოლის საქმიანობა იზღუდება მყინვარებზე.

პროგრამა ითვალისწინებს 11 სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი: 20 წელი; საცხენოსნო ტურიზმში/საცხენოსნო სპორტში პრაქტიკული გამოცდილება - 3 წელი; ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით; დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით როგორც ზემოთ აღინიშნა გაიცა რეკომენდაცია. რადგან გარემო, სადაც ხორციელდება სწავლება წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც ადამიანის (გამყოლის) ფიზიკურ მდგომარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯგუფის უსაფრთხოებისთვის. ამგვარი მოთხოვნა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტის წარმოქმნისას, აარიდებს დაწესებულებას სამართლებრივ პრობლემებს.

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მსმენელებმა პროგრამის სწავლების დროს თავად უნდა უზრუნველყონ საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები. შესაბამისად ზემოთაღნიშნული რეკომენდაციები აისახოს პროგრამაში.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის საათების რაოდენობა - 364 საათია, რომელიც განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 36-40 საათი. სწავლება ხორციელდება სრულად C - სასწავლო გარემოში, ერთდღიან და მრავალდღიან ტურებზე განმახორციელებლების მუდმივი დაკვირვებით და ხელმძღვანელობით. უსაფრთხოების ზომების შესაბამისად შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა. განმახორციელებლისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6 -ზე. პროგრამის თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეიძლება განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლის ფორმით.

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით.

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ელექტრონული სწავლების წესი'', ძირითადად ელექტრონული სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული სიტუაციების არსებობის დროს (ავადობა, ამინდის გაუარესება და ა.შ), იმ სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც დაფუძნებულია თეორიაზე.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 12 მსმენელი. კოლეჯს ჰყავს პარტნიორი: „ი/მ კ. შ.'', რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ვადიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, პარტნიორი ი/მ უზრუნველყოფს გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების წარმართვას მის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით, რომელიც წინასწარ უნდა იყოს შემოწმებული, რომ მათი გამოყენება არ იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში.

მოხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქვარელში, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, რომელიც გათვლილია 12 მსმენელზე.

შესაბამისად, მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 10 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ,,ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან'' დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების თანახმად კომპანია უზრუნველყოფს პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული პირველი სწავლის შედეგის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება'' სწავლებას. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ თორმეტივე პროგრამაში პირველი საკითხი არის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება'', ყველა პროგრამისთვის ,,ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი'' უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებით განსაზღვრული პირველი სწავლის შედეგის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება'' სწავლებას.

ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება და დასტურდება, რომ აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში, მათ გამოცდილებასთან ერთად აქვს მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსის უმეტესობა უცხო ენოვანი ინტერნეტ რესურსია.
როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო რესურსი ნათარგმნი ქართულ ენაზე და სამომავლოდ გეგმავს ამ სახელმძღვანელოების სტამბური წესით დაბეჭდვას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული
მსმენელის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი'', სადაც, გაწერილია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემა, შეფასების პროცესი, შეფასების მტკიცებულება, სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების/ შეფასების პროცედურა, შეფასების გაფორმება და შეფასების შედეგების გასაჩივრება.
აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულება იყენებს პროფესიული მომზადების პროგრამებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისას განმავითარებელ და განსაზღვრელ შეფასებას.
სალომე ქუთათელაძემ ყურადღება გაამახვილა აპლიკანტთა შერჩევის პროცედურებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია ცხადდება ღია ან დახურული წესით. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა გააფორმებს ხელშეკრულებას სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება.
გადამოწმდა მოქმედი პრაქტიკა და დადასტურდა, რომ დაწესებულება მის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით აწარმოებს შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.
დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. დაწესებულება აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიზანია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს სკოლის ანგარიშვალდებულებას შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.
საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე'' ციკლი. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების პროცესი, პროგრამების განვითარების მიზნით, მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს: პროგრამის შემუშავება, პროგრამის შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება, პროგრამებში ცვლილებების შეტანა.
დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას. ინფორმაციის გავრცელების მთავარ არხს სოციალური მედია და კოლეჯის ვებ-გვერდი წარმოადგენს. ინფორმაცია პროგრამებსა და

სარეგისტრაციო პერიოდების შესახებ ძირითად შემთხვევაში კოლეჯის ფეისბუქის გვერდის გამოყენებითა და ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული საკონტაქტო პირებისთვის ელექტრონული ფოსტის გაგზავნით შემოიფარგლება. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ვებ-გვერდის ინტეგრირება კოლეჯის საკომუნიკაციო არხებთან და სექტემბრის თვეში მთავარი საკომუნიკაციო არხი და წყარო სწორედ ვებ-გვერდი www.GuideSchool.org გახდება. ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული პირები, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს კოლეჯის პროგრამებსა თუ სარეგისტრაციო პერიოდის გამოცხადებაზე, ავტომატურ რეჟიმში იქნებიან ინფორმირებული ყველა სიახლის გამოქვეყნებისას. ასევე, კოლეჯის პროგრმებზე დაინტერესებული პირებისთვის ხორციელდება პირადი ვერბალური კომუნიკაცია როგორც კოლეჯის თანამშრომლების მხირდან, ასევე კოლეჯის კურსდამთავრებულებისა და მიმდინარე სტუდენტების მიერ.

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/ მონაცემთა დროულ ასახვას მოქმედი რეგულაციის დაცვით, რაც დადასტურდა ელექტრონულ სისტემის დათვალიერებით. შესაბამისად, დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow- თი.

დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს სერტიფიკატს დანართთან ერთად. დაწესებულების დოკუმენტში ,,პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი'' მე-11 მუხლში გაწერილია სერტიფიკატის გაცემის პროცედურების შესახებ, კერძოდ, სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურებისა.

გადამოწმდა მომზადება/გადამზადების პროგრამებისთვის შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის სისწორე. დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის ფორმაც შეთანხმებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ასევე გადამოწმდა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სერტიფიკატები და დანართები.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. კოლეჯის მიზანია მოამზადოს გამყოლები, სამთო სპორტების და აქტივობების ინსტრუქტორები და მასწავლებლები, სასიმაღლო სამუშაოების სპეციალისტები, საზვავე უსაფრთხოების სპეციალისტები, სამთო მაშველები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ინდუსტრიის მიერ დადგენოლ საერთაშორისო სტანდარტებს.

კოლეჯი მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებს სასიამოვნო, ეფექტური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაში, მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინდუსტრიის ლიდერებთან და პოტენციურ დამსაქმელებთან, რათა სტუდენტებს/მსმენელებს შესთავაზოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი მომსახურება და მკაფიო პერსპექტივა.

კოლეჯის საქმიანობა ხელს უწყობს საქართველომ დაიმკვიდროს ადგილი სათავგადასავლო ტურიზმის გლობალურად აღიარებულ ქვეყნებს შორის, როგორც მიმართულებამ, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო გამოცდილებას მოგზაურებისთვის, აწვდის მათ საერთაშორისო სტანდარტების მომსახურებას, მაღალკვალიფიციური ადგილობრივი გამყოლების და ტურიზმის სპეციალისტების მეშვეობით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, დაწესებულებამ პროგრამასთან ერთად ელექტრონულად წარმოადგინა 2022 წლის 29 აპრილის MIA 42201125899 „სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო- ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №63 და კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“.

კოლეჯში დისტანციურად დათვალიერებით დგინდება, რომ გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“, არის სათანადო ადგილას განთავსებული საევაკუაციო გეგმა, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, განთავსებულია ეგრეთწოდებულია ,,ექსითები“.

პრეზენტაციაში წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან თორმეტივე საკითხი ერთი დაწესებულების მიერ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად მეორე სტანდარტის ქვესტანდარტების ნაწილი და მესამე სტანდარტი შესაბამისად იქნებოდა იდენტური და მიმართა სალომე ქუთათელაძეს შემდეგი საკითხების განხილვის დროს, წარმოედგინა ის ქვსეტანდარტები, რომლებიც განსახვევული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ეთანხმებოდნენ თუ არა ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ იზიარებდა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ცინცაძემ, სწავლების განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირმა, მან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა, უფრო მეტიც, საერთაშორისო სტანდარტებით უფრო მკაცრი მოთხოვნებია, ვიდრე საქართველოში. მან განმარტა, რომ ასეთი სახის პროგრამებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი და მენტალურად ჩამოყალიბებული, ვინაიდან მათ მოუწევთ ექსტრემალურ პირობებში ყოფნა, როგორიცაა თოვლი, ყინვა, უამინდობა, ქარი და ა.შ. შესაბამისად საჭიროა რომ მსმენელები ასეთი ტიპის პროგრამებზე იყვნენ ძლიერები.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში არ არის კომპეტენტური, მას ჰქონდა დარგის ექსპერტთან ერთგავრი მოთხოვნა, ცოტა მეტი მოთხოვნა ხომ არ უნდა იყოს გათვალისწინებული ამ პროგრამებთან მიმართებაში, მან დასძინა, იმისთვის რომ იყო კარგი სამთო გამყოლი, რამდენად არის საკმარისი ამ მოკლევადიანი პროგრამის გავლა, რადგან საჭიროა ცოტა მეტი გამოცდილება, შეიძლება პირმა თეორულად რაღაც საკითხები იცოდეს, თუმცა გამოცდილება არის საჭირო. ეს მარშრუტი რამდენჯერმე უნდა ჰქონდეს გავლილი, რომ აიღოს პასუხისმგებლობა ჯგუფის გაყოლაზე.

ამასთან დაკავშირებით არჩილ ცინცაძემ განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე არ იღებდა დამწყებებს, რაც დაწესებულებას წინაპირობაში აქვს გაწერილი.

ნინო ველთაური დაინტერესდა, თუ როგორ რწმუნდებოდნენ, რომ იმ პირებს, რომლებიც ამ პროგრამაზე მოდიან, ნამდვილად ჰქონდათ წინაპირობაში ასახული მოთხოვნები დაკმაყოფილებული, რაზეც არჩილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ აპლიკანტები აბარებენ გამოცდას, ასევე მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ გავლილი ხუთი რთული მარშრუტი, თუ არა აქვს აპლიკანტს გავლილი ეს ხუთი მარშრუტი, ისე გასაუბრებაზეც არ იბარებენ.

ნინო ველთაურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ სად ბარდებოდა გამოცდები, და საიდან იღებდნენ ცნობას აპლიკანტები, რაზეც არჩილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ გამოცდა ბარდებოდა მათთან, რომ აპლიკანტები თვითონ წერენ რა მარშრუტები აქვთ გაკეთებული, ეს უნდა იყოს ან ალპური კლუბის მიერ გაცემული ან მეგობრების მიერ დადასტურებული. აპლიკანტი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, შემდეგ ეტაპზე გადადის და ხდება მასთან გასაუბრება, კომისიაში არიან ისეთი პირები, რომელთაც გავლილი

აქვთ ეს რთული მარშრუტები და კომპეტენტურები არიან, სწორედ აქედან გამომდინარე გახდა საქართველო ასოციაციის წევრი 30 წლის შემდეგ. შესაბამისად თუ ეს რთული მარშრუტები გავლილი აქვს, შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა და წაიყვანოს მთაში ტურისტი.
ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისად გასაუბრება უნდა იყოს დეტალური, მან დასძინა, რომ დარწმუნებულია და იმედი აქვს, რომ ერთი პატარა დეტალიც კი არ იქნება გამორჩენილი, რაზეც არჩილ ცინცაძემ გააკეთა კომენტარი, რომ ამ მხრივ მათთან ყველაფერი მოწესრიგებული იყო.
განხილვაში ჩაერთო დაწესებულების წარმომადგენელი ზაზა ამირეჯიბი და განაცხადა, რომ სწორედ ამ მიზნით ყველა პროგრამაზე სწავლის შედეგად შემოღებულია პირველადი გადაუდებელი დახმარება, ვინაიდან აღნიშნული პროგრამები არის რისკის შემცველი, კურსდამთავრებული იღებს პასუხისმგებლობას სხვის სიცოცხლეზე. ამ მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან და სწორედ ამ უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჩაატარებს ყველა წარმოდგენილ პროგრამაზე პირველად გადაუდებელ დახმარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „საცხენოსნო ტურის გამყოლი“ /01658/ წალენჯიხის რაიონის სოფ. ჩქვარელში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საცხენოსნო ტურის გამყოლი /01658/ წალენჯიხის რაიონის სოფ. ჩქვარელში **(დანართი 1)**.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „საფეხმავლო გამყოლი“ ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780674

ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ტიტე მეძმარიაშვილმა განახორციელეს ვიზიტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული გადამზადების პროგრამის „საფეხმავლო გამყოლი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი C - სასწავლო გარემოს დათვალიერება, კერძოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შემოგარენში არსებული ინწრას ხეობის, ყვირას მთის, ოცინდალი თაიას და ინგირის ხეობის. შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.4 და 1.5 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით:

ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში „საფეხმავლო გამყოლი“ დაშვების წინაპირობებში დამატებით განისაზღვროს:

1. სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
2. დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები''.

ქვესტანდარტი 1.5 - დაწესებულებას გადამზადების პროგრამისთვის ,,საფეხმავლო გამყოლი'' მინიჭებული აქვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ გამისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
აღნიშნული პროგრამის ხანგრძლივობაა - 7 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24; პროგრამის განხორციელების ადგილი - ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტებში არსებული ველური ბუნება.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. საქართველოში, ლაშქრობა ანუ საფეხმავლო ტურები, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი სპორტის სახეობაა. საფეხმავლო ტურები ხორციელდება ნახევრადუდაბნო, ტყიან, ალპურ და სუბალპურ ზონებში საფეხმავლო ტურების სფეროში დასაქმებულ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სერთიფიცირებულ პროფესიონალთა საერთო აზრით, თვალშისაცემია საფეხმავლო გამყოლების, როგორც სპეციფიკაზე მორგებული კვალიფიციური კადრების, ისე - მიმდინარე რეგულაციების/უსაფრთხოების წესების კუთხით გადამზადებული პერსონალის ნაკლებობა. შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ და კერძო კომპანიების სურვილმა, გამოწვეულმა, უკვე დასაქმებული კადრების გადამზადების აუცილებლობით, სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა პროფესიული გადამზადების პროგრამა „საფეხმავლო გამყოლი“, რომლის საფუძველსაც საერთაშორისო ორგანიზაციის UIMLA - ს მიერ შექმნილი პროგრამა წარმოადგენს, ასევე, პროგრამა ეყრდნობა სამთო გამყოლის, ასევე 2020 წელს შექმნილი და ავტორიზებული პროგრამის - საფეხმავლო გამყოლის (Hiking Guide) გამოცდილებას.

აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს 3 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: განათლება - სრული ზოგადი. სამუშაო გამოცდილება: პრაქტიკული გამოცდილების დადასტურება გასაუბრებით და ავტობიოგრაფიით. მინიმუმ 1 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. აპლიკანტების შერჩება ხდება საკონკურსო ტურით. საკონკურსო ტური ემსახურება პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაბამისი ფიზიკური კონდიციის და მოტივაციის მქონე კანდიდატების გამოვლენას. კანდიდატის შეფასება ხდება 5 კრიტერიუმის შესაბამისად, რომელიც გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
პროგრამის ხანგრძლივობა 7 კვირაა, რომელიც მოიცავს 248 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 8-40 საათი. სწავლება ხორციელდება სრულად C - სასწავლო გარემოში, ველურ ბუნებაში, ალპურ, სუბალპურ და ტყიან ზონებში. პროგრამის თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეიძლება განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. აქტივობების დროს ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, განმახორციელებლისა და მსმენელის თანაბარდობა 1/6.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და შეძლებს დასაქმდეს საფეხმავლო გამყოლად საქართველოს ნებისმიერ კურორტზე, ტურისტულ კომპანიაში ან იყოს თვითდასაქმებული.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნილი აქვს 24 მსმენელი, პროგრამა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად განხორციელდება C - საწავლო გარემოში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის, მესტიის შემოგარენში არსებულ ველურ ბუნებაში.
პროგრამის სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი თავად უნდა იქონიოს მსმენელმა, (დაშვების წინაპირობაში აქვს დაწესებულებას მოთხოვნილი) ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებასაც აქვს თავის მფლობელობაში პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი, (აფთიაქი, ზურგჩანთა, კომპასი, კარავი 3 კაციანი და საფეხმავლო რუქები 6 მსმენელზე).
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 6 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, თუმცა როგორც წინა პროგრამის შემთხვევაში ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები არ მოიპოვება, ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციაში წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა აღნიშნა, რომ „საფეხმავლო გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოში, დაწესებულებამ გადაწყვიტა პროგრამის განხორციელება დასავლეთ საქართველოში.
საბჭოს წევრი ნინო ველთაური დაინტერესდა, პროგრამისთვის განსაზღვრულია თუ არა სპეციალურად მონიშნული მარშრუტები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასევე შეიძლება იყოს მოუნიშნავი მარშრუტები, თუმცა ზვავსაშიშროების ადგილებში არ უნდა იყოს ეს მარშრუტები დაგეგმილი.
ნინო ველთაურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სწავლების პერიოდში მსმენელებს ექნებოდათ თუ არა რუკები, სადაც მონიშნულია საშიში ზონები, რაზეც არჩილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ ასეთი რუკები არ არსებობს, რუკები კი არის, თუმცა რისკის მენეჯმენტს როცა სწავლობენ, გარემოზე დაკვირვება და რისკების შეფასება შედის და დასძინა, რომ ქვა ჩამოვარდეს, რა შეიძლება მოხდეს და ამ დროს რისი გაკეთება შეიძლება, რომ სავალალო შედეგი არ დადგეს. თუმცა სიღრმისეულად მეცნიერებაში არ ხდება შესვლა, რაც საჭირო და აუცილებელია, მსმენელები ყველაფერს ადგილზე სწავლობენ. დაწვრილებით სწავლობენ ამინდზე და რელიეფზე დაკვირვებას და ასევე სხვანაირად აზროვნებას მთაში, გიდი უყურებს რაღაც საშიშროებას, ის უნდა ხედავდეს და მერე იმის უნარი უნდა ჰქონდეს, რა შეიძლება მოუვიდეს სტუმრებს და რისი გაკეთება შეუძლია თვითონ, რომ საშიშროების თავიდან აცილება მოხდეს, ესაა სწავლების პრინციპი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „საფეხმავლო გამყოლი“ ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საფეხმავლო გამყოლი /01675/ ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური“ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780680 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ტიტე მეძმარიაშვილმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადებისპროგრამის ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური'' განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით:
ქვესტანდარტი 1.4. - რეკომენდებულია: პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაემატოს შემდეგი სახის დაშვების წანაპირობა: სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ. რადგან გარემო, სადაც ხორციელდება სწავლება, წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც ადამიანის (გამყოლის) ფიზიკურ მდგომარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯგუფის უსაფრთხოებისთვის. ამგვარი მოთხოვნა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტის წარმოქმნისას, აარიდებს დაწესებულებას სამართლებრივ პრობლემებს და უზრუნველყოფს მომსახურეობის მაღალ დონეს.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 48; პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები.
  პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
საქართველოში, სათხილამურო სპორტი, ერთ - ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი სპორტის სახეობაა. სათხილამურო ტურები, ძირითადად ოთხ სათხილამურო კურორტზე: გუდაური, ბაკურიანი, მესტია და გოდერძი ხორციელდება. საქართველოს სამთო/ზამთრის კურორტების პოტენციალი ძალიან დიდია. 2022 წელს ოთხივე სათხილამურო კურორტს სულ 134 183 ვიზიტორი ესტუმრა.
აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამა ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი :18 წელი. განათლება: სრული ზოგადი.
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება: 1 წელი თხილამურებით სრიალის სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, დადასტურებული

სპორტული სათხილამურო სკოლის და/ან სხვა დამსაქმებლის მიერ. კურსზე დაშვების საკონკურსო ტურია - თხილამურებით სრიალის ტექნიკური უნარების შეფასება (“მწვანე” და „ლურჯი“ კატეგორიის სათხილამურო გზაზე გამართულად სრიალი).
აპლიკანტთა დაშვების ტექნიკური წინაპირობაა - აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია პროგრამაზე დასასწრებად იქონიოს აუცილებელი აღჭურვილობა. მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ცხოვრების, კვების და საბაგირო გზის აბონემენტის ხარჯები.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 2 კვირაა, რომელიც მოიცავს 80 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე C გარემოში (საველე პირობებში) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით.
აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს ნებისმიერ სათხილამურო კურორტზე, სათხილამურო სკოლაში, ტურისტულ კომპანიაში. თხილამურებით სრიალის 1 საფეხურის სტატუსის მქონე მასწავლებლის საქმიანობა ნებადართულია მხოლოდ „მწვანე“ კატეგორიის სათხილამურო ტრასებზე.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამა მთლიანად ხორციელდება C - სასწავლო გარემოში, ხორციელდება დასავლეთ საქართველოს ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე, მესტიის გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე. დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაცია ,,შპს ემ თი ეი'' და დადებული აქვს მასთან მემორანდუმი ურთიერთანამშრომლობის შესახებ. გაფორმებული მემორანდუმით მხარეები თანხმდებიან, რომ პარტნიორი კომპანია, პროგრამების (თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური, თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური და თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური) განხორციელების ფარგლებში, სამი წლის განმავლობაში, სკოლას უსასყიდლოდ გადასცემს მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე საბაგირო საშვს პროგრამის 13 განმახორციელებელი პირისთვის.
აღნიშნულ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 10 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
როგორც აღინიშნა, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 48 მსმენელი, პროგრამა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება დასავლეთ საქართველოს ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე, მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე. მსმენელებმა სწავლებისას თავად უნდა იქონიონ საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი, რაც პროგრამის დაშვების წინაპირობაში აქვს განსაზღვრული დაწესებულებას.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. პროფესიული პროგრამების (თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური, თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური და თხილამურებით სრიალის

მასწავლებელი 3 საფეხური) სწავლებისთვის განსაზღვრულია ერთი გერმანულენოვანი სასწავლო ლიტერატურა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, ამ დარგის მიმართულებით ქართულენოვანი სახელმძღვანელოები არ არსებობს, ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციაში წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა.
ნინო ბაბალაშვილმა განმარტა, რომ მისთვის გასაგები იყო, რომ ამ სამივე საფეხურის კურსდამთავრებულები აიღებდნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, თუმცა საინტერესოა სად და როგორ გამოჩნდება მათი უპირატესობა, ანუ აღსრულება როგორ მოხდება. ვინ გააკონტროლებს იმას, რომ სერტიფიცირებული კადრები იქნებიან ინსტრუქტორები, რაზეც დარგის სპეციალისტმა უპასუხა, რომ უნდა იყოს ქვეყანაში კანონი, რაც ამ საკითხს დაარეგულირებს, თუმცა ამ ეტაპზე ეს კანონი არ არის დამტკიცებული.
არჩილ ცინცაძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი ხანია მიდის მუშაობა ტურიზმის კანონთან დაკავშირებით, ტურიზმის კანონი უნდა იქნეს მიღებული, შესაბამისად ამ მუხლის ჩამატება კანონში უფრო ადვილი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ 5 წელია ამ კანონზეა საუბარი, ჯერ არ არის დამტკიცებული, თუ ეს კანონი შევა ძალაში, მაშინ თხილამურის ინსტრუქტორის საკითხს ეს კანონი დაარეგულირებს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სავალდებულოა თუ არა პირმა სამივე საფეხურის პროგრამა გაიაროს, თუ ერთ-ერთი საფეხური საკმარისია, რაზეც დარგის სპეციალისტმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზნით იქნა სამი საფეხურის პროგრამა შემუშავებული და წარმოდგენილი, სადაც დაწვრილებით არის გაწერილი, თუ რომელი საფეხურის ისნტრუქტორებს სად შეეძლებათ დასაქმება.
ნინო ველთაური დაინტერესდა აპლიკანტმა ფორმალური წინაპირობა რომ დააკმაყოფილოს და არ იცოდეს თხილამურებზე დგომა, ამას თუ აზღვევს დაწესებულება, ასევე დაინტერესდა რას ნიშნავდა მწვანე, ლურჯი, წითელი და შავი კატეგორიის სათხილამურო გზები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ნიშნავდა სათხილამურო გზაზე სრიალის კატეგორიებს სირთულის მიხედვით, აქ საუბარია გაკვალულ თოვლში სრიალის ტექნიკაზე. თუმცა ინსტრუქტორმა უნდა ასწავლოს გაუკვალავ თოვლში, ასეთ შემთხვევაში პირს საზვავე უსაფრთხოება უნდა ჰქონდეს გავლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სალომე ქუთათელაძეს მეორე და მესამე საფეხურის პროგრამებიც წარედგინა და შემდეგ სამივე პროგრამაზე საბჭო ერთობლივად მიიღებდა გადაწყვეტილებას.

4. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური“ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780681 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ტიტე მეძმარიაშვილმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით:
ქვესტანდარტი 1.4. - რეკომენდირებულია: პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაემატოს შემდეგი სახის დაშვების წანაპირობა: სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის
წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
გარემო, სადაც ხორციელდება სწავლება წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც ადამიანის (გამყოლის) ფიზიკურ მდგომარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჯგუფის უსაფრთხოებისთვის. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ მსმენელებმა წარმოადგინონ ფიზიკური ჯანმრთელობის დამადასტურებელი საბუთი. ამგვარი მოთხოვნა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტის წარმოქმნისას, აარიდებს დაწესებულებას სამართლებრივ პრობლემებს და უზრუნველყოფს მომსახურეობის მაღალ დონეს.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა; სწავლების ენა - ქართული;
მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 48; პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები.
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროგრამის მიზანში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია გადაამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად "მწვანე" და ,,ლურჯი'' კატეგორიის სათხილამურო ტრასებზე თხილამურებით სრიალის სწავლებას თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, ტურისტზე ზრუნვის, კომფორტის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
პროგრამა ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია - სამუშაო გამოცდილება: 1 წელი თხილამურებით სრიალის სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, დადასტურებული სპორტული სათხილამურო სკოლის და/ან სხვა დამსაქმებლის მიერ, ასევე შეიძლება წარმოადგინოს: თხილამურებით სრიალის სწავლების უფლების დამადასტურებელი პირველი საფეხურის სერტიფიკატი, გაცემული დაწესებულების მიერ ან სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის და საქართველოს სამთო გიდების ასოციაციის (GMGA) მიერ გაცემული სერტიფიკატი „თხილამურებზე სრიალის და ტექნიკის მეთოდიკის ინსტრუქტორის კურსი.“ პირველი დონე ან საერთაშორისო სტატუსის მქონე სერტიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს პირველი ან მეორე საფეხურის შესაბამის მოთხოვნებს ან ცნობა - სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდება პირველი ან მეორე საფეხურისთვის საჭირო უნარების ფლობის კომპეტენცია. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. საკონკურსო ტური - თხილამურებით სრიალის ტექნიკური უნარების შეფასება (“მწვანე”, „ლურჯი“ და ,,წითელი'' კატეგორიის სათხილამურო გზაზე გამართულად სრიალი). ხოლო აპლიკანტთა დაშვების ტექნიკური წინაპირობა: აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია პროგრამაზე დასასწრებად იქონიოს აუცილებელი აღჭურვილობა: კურსის შინაარსის შესაბამისი თხილამური, თხილამურის სამაგრი, სათხილამურო წყალგაუმტარი ტანსაცმელი, სათხილამურო

ფეხსაცმელი, სათხილამურო ჯოხები, ჩაფხუტი, მზის სათვალე, ხელთათმანი. მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრების, კვების და საბაგირო გზის აბონიმენტის ხარჯები.
სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 2 კვირაა, რომელიც მოიცავს 80 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე C გარემოში (საველე პირობებში) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით.
კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს ნებისმიერ სათხილამურო კურორტზე, სათხილამურო სკოლაში, ტურისტულ კომპანიაში. თხილამურებით სრიალის 2 საფეხურის სტატუსის მქონე მასწავლებლის საქმიანობა ნებადართულია ,,მწვანე'' და ,,ლურჯი'' კატეგორიის სათხილამურო ტრასებზე.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, ამ პროგრამაშიც ჩართული იქნება 10 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
დაწესებულებამ, როგორც აღინიშნა, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 48 მსმენელი, გადამზადების პროგრამა ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური'' თავის სპეცეფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება C-საწავლო გარემოში.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

5. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური“ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780682 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ტიტე მეძმარიაშვილმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური'' განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა გაიცა რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.4. - რეკომენდებულია: პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაემატოს შემდეგი სახის დაშვების წანაპირობა: სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის
წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
გარემო, სადაც ხორციელდება სწავლება წარმოადგენს მაღალი რისკის ზონას, სადაც ადამიანის (გამყოლის) ფიზიკურ მდგომარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჯგუფის უსაფრთხოებისთვის. ამიტომ, მიზანშეწონილია მსმენელებმა წარმოადგინონ ფიზიკური ჯანმრთელობის დამადასტურებელი საბუთი.
ქვესტანდარტი 1.5 - დაწესებულებას გადამზადების პროგრამისთვის ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური'' მინიჭებული აქვს მე-4 კვალიფიკაციის დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ გამისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
ქვესტანდარტი 1.6 - პროფესიული გადამზადების პროგრამაში განსაზღვრულია 8 სწავლის შედეგი. პროგრამაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, პრაგრამით განსაზღვრული მე-2 და მე-3 სწავლის შედეგად ერთი და იგივე სწავლის შედეგის დასახელება ,,საზვავე უსაფრთხოება''მეორდება.
რეკომენდაცია - გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, და პროგრამის სწავლის შედეგებად განისაზღვროს 7
სწავლის შედეგი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა; სწავლების ენა - ქართული;
მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 48; პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია გადაამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე კადრი, რომელიც შეძლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად "წითელი'' და ,,შავი'' კატეგორიის სათხილამურო ტრასებზე და ,,ფრი-რაიდ'' გაუკვალავ თოვლში თხილამურებით სრიალის სწავლებას თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, ტურისტზე ზრუნვის, კომპორტის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები გაწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და უნარით და კომპეტენციით.
პროფესიული გადამზადების პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი დაშვების წინაპირობა: სამუშაო გამოცდილება: 1 წელი - თხილამურებით სრიალის სწავლების უფლების დამადასტურებელი 2 საფეხურის სერთიფიკატი და ამ სერთიფიკატით თხილამურით სრიალის სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, დადასტურებული სპორტული სათხილამურო სკოლის და/ან სხვა დამსაქმებლის მიერ. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. კონკურსი: თხილამურებით სრიალის ტექნიკური უნარების შეფასება

(ყველა კატეგორიის სათხილამურო გზაზე გამართულად სრიალი). აპლიკანტთა დაშვების ტექნიკური წინაპირობა: აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია პროგრამაზე დასასწრებად იქონიოს შემდეგი აღჭურვილობა: კურსის შინაარსის შესაბამისი თხილამური, თხილამურის სამაგრი; სათხილამურო წყალგაუმტარი ტანსაცმელი; სათხილამურო ფეხსაცმელი; სათხილამურო ჯოხები; ჩაფხუტი; მზის სათვალე; ხელთათმანი. პროგრამის სხვა მოთხოვნებია: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ცხოვრების, კვების და საბაგირო გზის აბონიმენტის ხარჯები. მსმენელი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერთიფიკატი.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 5 კვირაა, რომელიც მოიცავს 200 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე C გარემოში (საველე პირობებში) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს ნებისმიერ სათხილამურო კურორტზე, სათხილამურო სკოლაში, ტურისტულ კომპანიაში.

თხილამურებით სრიალის მე-3 საფეხურის სტატუსის მქონე მასწავლებლის საქმიანობა ნებადართულია ,,მწვანე'', ,,ლურჯი'', ,,წითელი'' და ,,შავი'' კატეგორიის სათხილამურო ტრასებზე, ასევე გაუკვალავ თოვლში, მხოლოდ საბაგირო გზების მიმდებარედ.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროფესიული გადამზადების პროგრამის - განხორციელებაში ჩართული იქნება 15 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური'' თავის სპეცეფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება C - საწავლო გარემოში, დასავლეთ საქართველოს ზამთრის კურორტების სათხილამურო ტრასებზე, მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე. მსმენელებმა სწავლებისას თავად უნდა იქონიონ საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი რაც პროგრამის დაშვების წინაპირობაში აქვს განსაზღვრული დაწესებულებას.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური“ /01652/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური /01652/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური“ /01653/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური /01653/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური“ /01654/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური /01654/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კორორტებზე **(დანართი).**

6. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „კანიონინგის გამყოლი“ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780683 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვახტანგ ჩიხრაძემ დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,კანიონინგის გამყოლი'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 2.2 - დაწესებულებას პროგრამაში არა აქვს განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი, დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ აპლიკანტმა თავად უნდა იქონიოს პროგრამაზე დაშვებისთვის საჭირო აღჭურვილობა, თუმცა ეს პირობა
არ არის გათვალისწინებული არც დაშვების წინაპირობებში და არც პროგრამაში.
ასევე გაიცა ორი რეკომენდაცია 1.4 და 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში:
ქვესტანდარტი 1.4 - დაწესებულების წარმომადგენელთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მსმენელებმა სწავლების დროს თავად უნდა უზრუნველყონ ტრანსპორტირება და კვება, ამიტომ რეკომენდირებულია დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების
ხარჯები''.
ქვესტანდარტი 1.5 - დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ,,კანიონინგის გამყოლი'' მინიჭებული აქვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და

პროგრამის ჩარჩოს დონედ გამისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.
რეკომენდებულია მომზადების პროგრამას მიენიჭოს მე-5 დონე და საკვალიფიკაციო დონის ცვლილება აისახოს პროგრამის დოკუმენტში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე არის - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 7 კვირა;
სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 6; პროგრამის განხორციელების ადგილი - მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებული კანიონები.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
კანიონინგი, ისევე როგორც სათავგადასავლო ტურიზმის სხვა უმეტესი დისციპლინები, სახელმწიფო კანონის არარსებობის გამო, თვითრეგულირების მდგომარეობაში იმყოფება და ამდენად კვალიფიციური გიდი/გამყოლების საკითხიც მოუგვარებელია. გამყოლები ისევე როგორც სხვა დარგებში თვითნასწავლნი არიან და იშვიათ შემთხვევაში, უშუალოდ მათი მონდომების და საერთშორისო ორგანიზაციების კეთილი ნების საფუძველზე ხდება, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, პრაქტიკოსი გამყოლების სწავლების პროცესის ორგანიზება.
2023 წლის მარტში, საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ გაიმარჯვა USAID-ის საგრანტო კონკურსში „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვს“, რომლის ფარგლებშიც მოხდება სათავგადასავლო ტურიზმში დასაქმებული პრაქტიკოსი გამყოლების/გიდების გადამზადება უცხოელი/საერთაშორისო სტატუსის მქონე ტრენერების მიერ. ამ პროგრამის თანმხლებ ნაწილს წარმოადგენს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ რეგიონული საწვრთნელი ბაზის რეპლიკაცია დასავლეთ საქართველოში და ამ მიმართულებით პროგრამის დანერგვა. პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას კანიონინგის გიდად ტურისტულ კომპანიებში და ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმებაც.
მიზანთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია კანიონინგის გიდად დასაქმების მსურველების პროფესიული მომზადება, რომლებიც გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის კანიონინგისთვის წინასწარ ინფრასტრუქტურულად მომზადებულ მარშრუტებზე. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 17 სწავლის შედეგის მიღწევას.
1. პირველადი გადაუდებელი დახმარება;
2. შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში;
3. ინვენტარი და აღჭურვილობის ტიპები და მათი მომზადება ექსპლუატაციისთვის;
4. ჩანჩქერიდან დამშვები სისტემის სახეობები, მიმღები სადგურის ტიპები და მათი მომზადება ექსპლუატაციისთვის;
5. კანიონის სახეობები, ამინდის შეფასება და რისკების განსაზღვრა;
6. სადგურებისა და ორ-სამ წერტილოვანი მიმღები სისტემების აწყობა კანიონში;
7. მთის მდინარეებში ფეხით გადაადგილება;
8. წყალუხვი მდინარეების ცურვით გადაკვეთა;
9. ინცინდენტის დროს სამაშველო ოპერაციის განხორციელება;
10. ტურის დაგეგმვა კანიონის სტრუქტურული ანახაზის გათვალისწინებით;

11. კანიონში ჯგუფთან მუშაობა, მათთვის დაცვების მომზადება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
12. ღამის პირობებში ღრმააუზიანი და უხვწყლიანი კანიონის გავლა;
13. მღვიმოვანი კანიონის გავლა;
14. უხვწყლიანი და მაღალჩანჩქეროვანი კანიონის გავლა;
15. . მაღალჩანჩქეროვანი, მრავალკასკადოვანი და დაბალწყლიანი კანიონის გავლა;
16. ჩქარი და უხვწყლიანი კანიონის გავლა;
17. ვიწროხეობიანი, მაღალჩნჩქეროვანი და მრავალკასკადოვანი კანიონის გავლა;
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი: 21 წელი. განათლება: საბაზო. ჯანმრთელობის ცნობა: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“.
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სხვა მოთხოვნებია: აპლიკანტი/მსმენელი სრულფასოვნად უნდა ფლობდეს ცურვის უნარ-ჩვევებს.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 7 კვირაა, რომელიც მოიცავს 280 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება C გარემოში, მარტვილის, ტყიბულის ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის კანიონებზე, (საველე პირობებში), ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. სწავლებისას განმახორციელებლისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/3. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. განმავითარებელი შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება სწავლების ბოლოს და შეფასდება მსმენელის თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები.
პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს მსმენელების დასაქმებას კანიონინგის გიდად ტურისტულ კომპანიებში და ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმებაც. დაწესებულებას ყავს ერთი პარტნიორი ორგანიზაცია, ,,შპს საქართველოს კანიონერთა ეროვნული ფედერაცია'', რომელთანაც დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განხორციელებას, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მომსახურების განხორციელებისას გამოყენებული მასალის, ინვენტარის და ინფრასტრუქტურის ხარისხის ვარგისიანობის შემოწმება განხორციელების დაწყებამდე, რათა არ იყოს საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის.
ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
დაწესებულებას პროგრამაში არა აქვს განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი, დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ აპლიკანტმა თავად უნდა იქონიოს პროგრამაზე დაშვებისთვის საჭირო აღჭურვილობა, თუმცა ეს პირობა არ არის გათვალისწინებული დაშვების წინაპირობებში.
აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჩაიწეროს პროგრამის დაშვების წინაპირობებში, აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი აღჭურვილობის ჩამონათვალი.

სასწავლო რესურსთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია ერთი უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაიკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები არ არსებობს, ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე და მომავალში გეგმავს სახელმძღვანელოს სტამბური წესით დაბეჭვდვას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი არგუმენტები 2.2 ქვესტანდარტის ხარვეზთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ რესურსს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპლიკანტმა თავად უნდა იქონიოს პროგრამაზე დაშვებისთვის საჭირო აღჭურვილობა, თუმცა ეს პირობა არ არის გათვალისწინებული დაშვების წინაპირობებში და არც პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ პროგრამის წინაპირობაში ტექნიკური ხარვეზია, როგორც მან აღნიშნა, გამორჩა დაწესებულებას, ელ. სისტემაში აღჭურვილობის ნაწილში დაწესებულებას აქვს ვალდებულება ატვირთოს ის მინიმალური აღჭურვილობა, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის და აქვს კოლეჯს, თუმცა რაც შეეხება აღნიშნულ პროგრამას, ამ პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობა კოლეჯს არ გააჩნია. ეს არის აღჭურვილობა, რომელსაც პარტნიორიც ვერ უზრუნველყოფს, იქიდან გამომდარე რომ თვითონ უნდა ჰქონდეს აპლიკანტს. .
ნინო ველთაურმა მიმართა დარგის ექსპერტს, თუ დაშვების წინაპირობაში გაჩნდებოდა ასეთი ჩანაწერი, რომ მსმენელი ვალდებულია თვითონ იქონიოს პირადი აღჭურვილობა, რაც უდაოდ გამორჩენილია, ამ შემთხვევაში მისაღებია თუ არა, რაც დარგის ექსპერტმა განმარტა, და დასძინა, რომ ვისაც ექნებოდა სურვილი ამ პროგრამაზე სწავლების, თვითონ ექნებოდა აღჭურვილობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ცინცაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ პროფესიაში ვერ მოვა პირი, თუ არ აქვს აუცილებელი პირადი აღჭურვილობა, თუ დაინტერესებულია ადამიანი, როგორც მთაშია, მაგ. თხილამურებით სრიალზე პირი ვერ მივა მასწავლებელთან თუ არ აქვს თხილამურები, მითუმეტეს სკოლა ვერ შეიძენს ამ ძვირადღირებულ აღჭურვილობას და ვერ აჩუქებს მსმენელს. რაც შეეხება ზოგადად აღჭურვილობას, რომელიც დამონტაჟებულია კანიონში, დაწესებულებას თავის თავზე აქვს აღებული, და უკვე დამონტაჟებულია, ასევე პერიოდულად უნდა მოხდეს მათი განახლება, რომ არ მოხდეს ტრენინგის დროს გაუთვალისწინებელი შემთხვევა. შესაბამისად სადგურები დამონტაჟებულია, ხოლო რაც პირადია, მსმენელმა თავის თავზე უნდა აიღოს, თუ სურვილი აქვს გახდეს გიდი, უნდა ჰქონდეს შესაბამისი საკუთარი აღჭურვილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სალომე ქუთათელაძეს წარედგინა „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლის“ პროფესიული მომზადების პროგრამაც, ხოლო შემდეგ საბჭო ამ ორივე საკითხთან დაკავშირებით ერთად მიიღებდა გადაწყვეტილებას.

7. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“წ ყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეტეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში პროფეს იული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780686 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვახტანგ ჩიხრაძემ დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზები 1.3 და 1.7 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანში ვკითხულობთ, რომ მსმენელები დაეუფლებიან სათავგადასავლო ტურიზმის საფუძვლებს, პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებს, ვიზიტორებთან მუშაობის და კომუნიკაციის ფორმებს, მღვიმის თვისებურებების აღწერას, სპელეო ტურის დაგეგმვას, უსაფრთხოების წესების დაცვით და სპელეო აღჭურვილობის გამოყენებით, მღვიმეში თოკით დაშვება - ამოსვლას, ორიენტირებას, სპელეო ტურის გაძღოლას და მღვიმეში სამაშველო ოპერაციის ჩატარებას.

სამაშველო ოპერაციის ჩატარებას მღვიმეში ვერ შეძლებს მსმენელი პროგრამით გათვალისწინებულ დროში, მიზანშეწონილია ეს სწავლის შედეგი არ განისაზღვროს პროგრამაში, ან მოხდეს აღნიშნული ფორმულირების ცვლილება და განისაზღვროს ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის როგორი ხარისხით შეძლებს ამის გაკეთებას კურსდამთავრებული ან გაიზარდოს პროგრამის ხანგრძლივობა. მსმენელი პროგრამით განსაზღვრულ დროში შესაძლებელია მხოლოდ სამაშველო ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფა/ორგანიზების უნარს ფლობდეს.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობაა 3 კვირა, სულ - 120 საათი, კვირეული სასწავლო დატვირთვა 40 საათი. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამაში გათვალისწინებულია რვა სწავლის შედეგი. მე-3 კვირაში ისწავლება სამი სწავლის შედეგი, რომლისთვის დათმობილია 40 საათი, ერთ-ერთი სწავლის

შედეგია ,,8. სამაშველო ოპერაციის ჩატარება მღვიმეში'', რომლის შესწავლა მოცემულ დროში შეუძლებელია. მიზანშეწონილია ეს სწავლის შედეგი არ განისაზღვროს პროგრამაში ან შეიცვალოს ფორმულირება და განისაზღვროს ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის როგორი ხარისხით შეძლებს ამის გაკეთებას კურსდამთავრებული ან გაიზარდოს პროგრამის ხანგრძლივობა, რადგან სამაშველო ოპერაციის ჩატარება დამოუკიდებლად არის საკმაოდ რთული და პროგრამით განსაზღვრულ საათებში ვერ შეძლებს ამის სრულყოფილად შესწავლას, კურსდამთავრებული შესაძლებელია მხოლოდ სამაშველო ოპერაციის ჩატარების უზრუნველყოფა/ორგანიზების უნარს ფლობდეს.

გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანში დაწესებულებას აქვს ასეთი განმარტება: ,,პროგრამის მიზანია ექსტრემალური სპელეოტურის გიდად დასაქმების მსურველების პროფესიული მომზადება, რომლებიც შემდგომში, როგორც კომპეტენტური გამყოლები გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის და ხანგრძლივობის ექსტრემალურ სპელეო ტურისტულ მარშრუტზე''.

რეკომენდებულია, რომ მოხდეს ამ ჩანაწერის რედაქტირება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,პროგრამის მიზანია ექსტრემალური სპელეოტურის გიდად დასაქმების მსურველების

პროფესიული მომზადება, რომლებიც შემდგომში, როგორც კომპეტენტური გამყოლები გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს წინასწარ ინფრასტრუქტურულად მომზადებულ ექსტრემალურ სპელეო
ტურისტულ მარშრუტზე''.

ქვესტანდარტი 1.4 - დაწესებულების წარმომადგენელთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მსმენელებმა სწავლების დროს თავად უნდა უზრუნველყონ ტრანსპორტირება და კვება, ამიტომ რეკომენდირებულია დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: ,,მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების
ხარჯები''.

ქვესტანდარტი 1.5 - დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ,,კანიონინგის გამყოლი'' მინიჭებული აქვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ გამისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.

რეკომენდებულია მომზადების პროგრამას მიენიჭოს მე-5 დონე დასაკვალიფიკაციო დონის ცვლილება აისახოს პროგრამის დოკუმენტში.

ქვესტანდარტი 1.9 - დაწესებულებას პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრული აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეები. აღსანიშნავია რომ დაწესებულებას მე-3 კვირის თემატიკებში განსაზღვრული აქვს შემდეგი თემატიკა: ,,ვერტიკალურ მღვიმეში გადაადგილებისთვის, შესაფერისი უსაფრთხო სათოკე სისტემის ,,ორმაგი დაზღვევის'' მოწყობა''.

რეკომენდებულია, სწავლების განხორციელება დამატებით მოხდეს ,,ხავერდოვანას'' და ფოთოლცვენას'' მღვიმეებში, რადგან აღნიშნული მღვიმეები არის ვერტიკალური, განსხვავებული და საინტერესოა თავისებურებებით. აღნიშნულ მღვიმეებში სწავლება მსმენელს მისცემს დამატებით ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას მღვიმეებში გამყოლად მუშაობის.

სალომე ქუთათელაძემ პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. დაწესებულებამ პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი'' დასაბუთება, სადაც აღნიშნულია, რომ წინა პლანზე გამოვიდა ეკოტურიზმი, რომლის შემადგენელ ნაწილს სპელეოტურიზმი წარმოადგენს. კარსტული მღვიმეები მსოფლიოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და ყველა კონტინენტზე გვხვდება. სპელეოტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი, მაგრამ რთულად ასამუშავებელი დარგია, რადგან ბუნების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ინვესტორისგან მოითხოვს მნიშვნელოვანი პირობების შესრულებას: დიდი პირველადი დანახარჯების გაწევას, სპეციფიკური მარკეტინგული საქმიანობის ჩატარებას, ტურის მაღალ დონეზე ორგანიზებას უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ეკოლოგიური სტანდარტების უზრუნველყოფას და მომსახურე პერსონალით - მაღალკვალიფიციური სპელეო გიდებით უზრუნველყოფას. სპელეოტურიზმი სამ სახეობად იყოფა: სანახაობითი, სამკურნალო და ექსტრემალური.

კარსტული მღვიმეების სიმდიდრით საქართველო გამორჩეული ქვეყანაა. ისინი ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, კავკასიონის სამხრეთით ფერდობზე. მათგან 17 მღვიმეს დაცული ტერიტორიის სტატუსი აქვს მინიჭებული. საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ექსტრემალურ სპელეოტურიზმს, აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ შესთავაზოს თავისი მომსახურება სათავგადასავლო ტურიზმის ამ მიმართულებით დაინტერესებულ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებს. ტურისტულ სექტორში ამ მიმართულების თანმიმდევრულად განვითარება, ტურისტული რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის თვითდასაქმების და ფინანსური წარმატების საწინდარი იქნება.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი'' შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური ექსტრემალური გიდის მომზადებისთვის.
პროგრამის მიზანია ექსტრემალური სპელეოტურის გიდად დასაქმების მსურველების პროფესიული მომზადება, რომლებიც შემდგომში, როგორც კომპეტენტური გამყოლები გაუძღვებიან ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სირთულის და ხანგრძლივობის ექსტრემალურ სპელეო ტურისტულ მარშრუტზე.
პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას:

1. პირველადი გადაუდებელი დახმარება;
2. შესავალი სათავგადასავლო ტურიზმში;
3. მღვიმის თავისებურებების აღწერა;
4. სპელეო ტურის დაგეგმვა;
5. უსაფრთხოების წესების დაცვით და სპელეო აღჭურვილობის გამოყენებით, მღვიმეში თოკით დაშვება და ამოსვლა;
6. ორიენტირება მღვიმეში;
7. სპელეო ტურის გაძღოლა მღვიმეში;
8. სამაშველო ოპერაციის ჩატარება მღვიმეში

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი: 18 წელი. ჯანმრთელობის ცნობა: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. ტექნიკური წინაპირობაა: აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია კურსზე დასასწრებად იქონიოს: სპელეო კომბინიზონი; ჩაფხუტი; თავის ფანარი; რეზინის ბოტი; სპელეო ჩანთა; სპელეო აღჭურვილობა; პირადი აფთიაქი; თოკი(11მმ) 100მ.
პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური არაა. პროგრამის ხანგრძლივობა 3 კვირაა, რომელიც მოიცავს 120 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებულ პრომეთეს, მელოურის და ბღერის მთვიმეებში (საველე პირობებში), ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში ერთდღიანი და 2 -3 დღიანი ტურების ორგანიზების გზით და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. ამ მიზნით, აქტივობების დროს ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4-ზე. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. პროგრამის ფარგლებში მიმდინარე (განმავითარებელი) შეფასება პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამა მთლიანად ხორციელდება C სასწავლო გარემოში. დაწესებულებას ყავს 1 პარტნიორი ორგანიზაცია, ,,ა(ა)იპ ქართველ სპელეოლოგთა კლუბი'', რომელთანაც დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობებით, განსაზღვრულია, რომ პარტნიორ კომპანიას შეუძლია 12 მსმენელის მიღება, კომპანია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების წარმართვას, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მომსახურების განხორციელებისას გამოყენებული მასალის, ინვენტარის და ინფრასტრუქტურის ხარისხის ვარგისიანობის შემოწმება განხორციელების დაწყებამდე, რათა არ იყოს საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის.
განხორციელდა გასაუბრება პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებთან, რომლებიც ამავდროულად პროგრამის განმახორციელებლები არიან, მათთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, რომ ისინი უზრუნველყოფენ დაცულ ტერიტორიებზე (მღვიმეებში) შესვლას სწავლების დროს.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.
პროფესიული მომზადების პროგრამისგანხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნილია 12 მსმენელი, პროგრამის სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს უზრუნველყოფს დაწესებულების პარტნიორი კომპანია ,,ა(ა)იპ ქართველ სპელეოლოგთა კლუბი''.
სასწავლო რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.
გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ საბჭოზე არ ყოფილა ასეთი პრეცენდენტი, ვინმესთვის დაევალებინოს, რომ თვითონ უნდა იქონიოს სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობა და მაგალითად მოიყვანა მანქანის ტარების კურსები, სადაც პირს იქ ხვდება მანქანა, შემდეგ მანქანას იყიდის თუ არა მისი საქმეა. მან აღნიშნა, რომ საუბარი უნდა იყოს მინიმალურ აღჭურვილობაზე, რაც არის სწავლებისთვის განსაზღვრული, რაც შეეხება, დამატებით აღჭურვილობას, რომელიც დაეხმარება მსმენელს სწავლების პროცესში აუცილებელია რომ სასწავლებელს ჰქონდეს.
ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ პირადი აღჭურვილობა არის ინდივიდუალური, კონკრეტულ პირზე მორგებული, შესაბამისად როგორ უნდა შეიძინოს დაწესებულებამ 6 კომბინიზონი, როცა ძნელია განსაზღვრო წინასწარ რა კომპლექციის ადამიანი მოვა პროგრამაზე.

ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, თუ მე-8 სწავლის შედეგი „სამაშველო ოპერაციის ჩატარება მღვიმეში“ იქნებოდა ამოღებული, 3 კვირაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ პროგრამის განხორციელება.
დარგის ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თუ ტური არის ველურ ბუნებაში, მაშინ რათქმა უნდა საშიშია, თუმცა როდესაც არის მარშრუტი მოწყობილი, ამ შემთვევაში შესაძლებელია, რადგან არ ჭირდება გზის გაყვანა, მომზადება, მას უკვე გავლილი აქვს მოწყობილი მარშრუტი და შესაბამისად, პროგრამაშიც წერია, რომ გიდები ტურისტებს წაიყვანენ ინფრასტუქტურულად მოწყობილ მარშრუტებზე, შესაბამისად 3 კვირაში რეალურია

ამ პროგრამის განხორციელებისთვის. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამა შესაძლებელია მომზადებაც იყოს და გადამზადებაც, თუმცა თუ მოწყობილ მარშრუტზეა საუბარი, არ წარმოადგენს პრობლემას.
ნინო ვეთაურმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ მომზადება და არა გადამზადება ამ ორ პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანიონინგში კადრები არის თითზე ჩამოსათვლელი, ამ ორ პროგრამაზე გადამზადების პროგრამის განხორციელებას არ ექნებოდა აზრი, ვინაიდან ის ადამიანები, რომლებიც დღეს აქტიურად ახორციელებენ ასეთი სახის ტურებს და ერთეულები არიან, შესაბამისად იმათთან ერთად უნდა იქნეს მომზადებული კვალიფიციური გამყოლები ამ დარგებში. მან ასევე აღნიშნა, რომ გადამზადების პროგრამა რომ წარმოედგინა დაწესებულებას, საქართველოში არ არის იმდენი ადამიანი, ვინც ამ პროგრამებზე გადამზადდება, არიან აჭარაში გიდები, რომლებიც შარშან გადამზადდნენ, ვისაც სურვილი აქვს და შეხება არ ჰქონია პროფესიულ კანიონინგთან, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც კანიონინგში დაყვებიან ტურისტებს. ეს არის მიზეზი, რატომაც შემუშავდა მომზადების პროგრამა. 4-5 ადამიანისათვის, იმათთვის რომლებიც არიან აჭარაში პროგრამას დაერქვას გადამზადება, არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ის პირები, ვისი მომზადებაც საჭიროა, ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ წინაპირობას.
მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გერმანულ გამოცდილებასთან დაკავშირებით განემარტა, რაზეც აპელირებდა დაწესებულება, რაზეც არჩილ ცინცაძემ განაცხადა, რომ არის საერთაშორისო კანიონინგის ფედერაცია, გერმანული გამოცდილებიის მიხედვით კანიონინგის გამყოლის პროგრამას დათმობილი აქვს საერთო ჯამში 45 დღე.
ნინო ველთაური დაინტერესდა, თუ რამდენი საათი აქვს დათმობილი პროგრამას, რაზეც არჩილ ცინცაძემ დასძინა, რომ საქართველოში არ არის ჯერ მოქნილი სისტემა, მთელ მსოფლიოში სათავგადასავლო ტურიზმი ითვლება არა საათებით, არამედ დღეებით, რომელი პროგრამაც არ უნდა ნახოთ ამ სფეროში, ყველა წყაროში არის დღეები, საქართველოში ჯერ დღეები არ არის, არის საათები და შემდეგ ხდება დღეებზე გადაყვანა. მან გააზიარა გერმანული პროგრამა, რომელიც 5 ეტაპისგან შედგება, სულ 45 დღე, ეს არის საერთაშორისო გამოცდილება, აღნიშნული პროგრამაც აწყობილია ამ პროგრამის მიხედვით.
ნინო ველთაურმა გააკეთა კომენტარი, რომ საბჭოს წევრებს ისეთ დეტალებში უწევთ გარკვევა, რაც ექსპერტებს უნდა ენახათ და შეესწავლათ ადგილზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ნინო ველთაურს და განაცხადა, რომ ამ ორ პროგრამასთან დაკავშირებით გაჩნდა გარკვეული კითხვები, დასძინა, რომ ასე სპონტანურად გადაწყვეტილების მიღება არ იქნებოდა სწორი და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჯობდა დამოუკიდებელი პირის ტურიზმის სააგენტოდან ან კვალიფიციური პირის მოწვევა შემდეგი საბჭოსთვის, რომელიც ნათელს მოფენდა ამ საკითხებს და შესაბამისად მომდევნო სხდომაზე მიეღოთ გადაწყვეტილება.
მარიამ ქუჩურიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დააფიქსირა პოზიცია, რომ ვინაიდან საბჭოს წევრებს აქვს დისკომპორტი ამ ორ პროგრამასთან მიმართებაში, დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე საბჭო აკეთებს მაქსიმუმს მათ მხარდასაჭერად, ან უნდა შეიცვალოს პროგრამის სახე, ან უნდა იყოს უფრო სრულყოფილი. ასევე თხოვა დაწესებულებას შემდეგი სხდომისთვის გაეცნოთ საბჭოსთვის 2-3 ქვეყნის საერთაშორისო მაგალითები.
დარგის ექსპერტმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მან აღნიშნა, რომ თუ გადამზადების პროგრამა იქნებოდა, ამაში ვერ ხედავდა პრობლემას, რაც სპელეოტურის გამყოლს შეეხება, მან აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება ამოიღებდა მე-8 სწავლის შედეგს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ შედეგის გარეშე სავსებით შესაძლებელია იყოს მომზადება, თუმცა რომ გაიზარდოს კვირეების რეოდენობა, ცუდი არ იქნებოდა.

საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება გასულიყვნენ სათათბიროდ.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ვინაიდან საბჭოს წევრები დღეს არ იყვნენ მზად გადაწყვატილების მისაღებად, დამატებით სურდათ ინფორმაციის მიღება, ამასთან დაკავშირებით, საბჭომ ითხოვა რომ ეს ორი საკითხი „კანიონინგის გამყოლი“ და „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ გადაეტანათ შემდეგი საბჭოსთვის

8. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ჯომარდობის გამყოლი“ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780688 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა დავით ქაცარავამ შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ჯომარდობის გამყოლი'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით, შესწავლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ჯომარდობის გამყოლი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდართან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.4. - რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში „ჯომარდობის გამყოლი“ დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს:

1. სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
2. დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები.
3. დაშვების ტექნიკურ წინაპირობაში მოთხოვნილ აღჭურვილობის ჩამონათვალს დაემატოს ,,როლიკები''.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 3 კვირა; სწავლების ენა - ქართული;

მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი - ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. საქართველოში ჯომარდობა ერთ-ერთი პოპულარული და მოთხოვნადი სათავგადასავლო ტურისტული მიმართულებაა, საჯომარდო ტურები, ძირითადად ხორციელდება მტკვარზე (ბორჯომი, ვარძია), მთიულეთის არაგვზე (ფასანაური), ფშავის არაგვზე (თვალივი), რიონზე (რაჭა) და ტეხურაზე (მარტვილის რაიონში). მდინარეების სირთულე კატეგორიებად იყოფა. პირველი კატეგორია ყველაზე მარტივია,

მეხუთე ყველაზე რთული. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მომრავლდა საჯომარდო კომპანიები, სერტიფიცირებულ პროფესიონალთა საერთო აზრით, საჭირო გახდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ჯომარდობის, როგორც სპეციფიკაზე მორგებული კვალიფიციური კადრების, ისე - მიმდინარე რეგულაციების/უსაფრთხოების წესების კუთხით გადამზადებული პერსონალი. შრომით ბაზარზე შექმნილი ვითარების და კერძო კომპანიების სურვილის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა უკვე დასაქმებული კადრების გადამზადებისა, რის საფუძველზეც დაწესებულებამ შეიმუშავა პროფესიული გადამზადების პროგრამა „ჯომარდობის გამყოლი“. აღნიშნული პროგრამა მომავალში გახდება უფრო მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამის „RESCUE 3” განხორციელების საფუძველი, წინაპირობა.

აღნიშნული პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამა შედგენილია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და გათვალისწინებულია მხოლოდ ჯომარდობის პრაქტიკოსი გიდებისთვის. პროგრამის მიზანია გადაამზადოს ჯომარდობის გამყოლი - სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერი, რომელიც კომპეტენტურია გაუძღვეს ტურისტს/ტურისტების ჯგუფს მეორე კატეგორიის საწყლოსნო მარშრუტზე. ჯომარდობის გამყოლი არის პიროვნება, რომელსაც აქვს ცოდნა, უნარი და გამოცდილება უსაფრთხოდ და კომპეტენტურად მართოს საჯომარდო ნავი (RAFT) მდინარეზე, როგორც გამოუცდელი მომსმელების (მენიჩბეების) გუნდის კაპიტანმა. გამყოლს ასევე უნდა შეეძლოს იმოქმედოს როგორც გიდების გუნდის წევრმა.

პროგრამა ითვალისწინებს ცხრა სწავლის შედეგის მიღწევას, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით.

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია - ასაკი 20 წელი, აპლიკანტს მოეთხოვება ცურვის ცოდნა. ერთწლიანი გამოცდილება, მე-2 კატეგორიის მდინარეზე მინიმუმ 10 დაშვების ან 20 საათზე მეტი. დაშვების ტექნიკური წინაპირობაა: აპლიკანტი ვალდებულია კურსზე დასასწრებად თან იქონიოს:

გიდის სამაშველო ჟილეტი / ჩაფხუტი, ჰიდროკოსტუმი 3 მმ., სასროლი თოკი 20 მ., კარაბინი ჩამკეტით 3 ც., ბრტყელი თოკი 3 მ., პრუსიკი 2 ც., დანა, სასტვენი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 3 კვირაა, რომელიც მოიცავს 110 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 35-40 საათი. სწავლება მიმდინარეობს განმახორციელებლების მუდმივი დაკვირვებით და ხელმძღვანელობით. პროგრამა ხორციელდება სპეციფიურ C სასწავლო გარემოში, მდინარეზე და მდინარის პირას. პროგრამის სპეციფიკიდან და უსაფრთხოების ზომების შესაბამისად თანაბარდობა განმახორცილებლისა და მსმენელის უნდა იყოს 1/5 -ზე. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და ექნება უფლება იმუშაოს საჯომარდო გამყოლის მე-2 კატეგორიის სირთულის მქონე მდინარეზე.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, აღნიშნული პროგრამა როგორც აღინიშნა, ხორციელდება სპეციფიურ C გარემოში, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ მდინარე რიონის I-II-III კლასის სირთულეების მონაკვეთებზე.

დაწესებულებას პროგრამასთან ერთად წარმოდგენილი აქვს რეკომენდაციები C გარემოს ტექნიკური პარამეტრების შესახებ.

დაწესებულებას ჰყავს პარტნიორი: „ი/მ თ. ფ.’’, რომელთანაც გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ვადიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, პარტნიორი ი/მ უზრუნველყოფს გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების

წარმართვას მის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით, რომელიც წინასწარ უნდა იყოს შემოწმებული რათა, მათი გამოყენება არ იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში.

,,ი/მ თ. ფ.'' აქვს საჯომარდო ბანაკი, რომელიც მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანაში. დისტანციურად მოხდა ბანაკის დათვალიერება, იქ არსებული ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი და გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. პროგრამის დისტანციურად შესწავლის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად დიდი მზაობა და სურვილი აქვთ პროგრამის განხორციელების.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დასტურდება ,,ი.მ თ. ფ.'' გაფორმებული ხელშეკრულებით. დისტანციურად მოხდა ,,ი/მ თ. ფ.'' საჯომარდო ბანაკის და იქ არსებული ინვენტარის დათვალიერება.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, აღნიშნული სასწავლო რესურსის უმეტესობა უცხო ენოვანი სასწავლო ლიტერატურაა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, ამ დარგის მიმართულებით ქართულენოვანი სახელმძღვანელოები არ მოიპოვება, ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო რესურსი ნათარგმნი ქართულ ენაზე.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა დავით ქაცარავამ, მან აღნიშნა, რომ აღჭურვილობის ჩამონათვალში დეტალურად არის აღწერილი ყველაფერი, საერთაშორისო სტანდარტებს რაც შეეხება, აღნიშნული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, მან დასძინა, რომ გაზრდილია პროგრამაში დღეების რაოდენობა, რაც როგორც დარგის ექსპერტს, მიაჩნია, რომ ძალიან კარგია, რაც მეტი დღეები იქნება პროგრამაში დათმობილი პრაქტიკული კომპონენტისთვის, რა თქმა უნდა გაზრდის პროგრამის ეფექტურობას. რაც შეეხება განმახორციელებლებს, სრულად აკმაყოფილებენ სტანდარტებს და პროგრამასაც წარმატებით განახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი“ /01659/ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ჯომარდობის გამყოლი /01659/ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ალპანაში **(დანართი 6).**

9. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ველოტურის გამყოლი“ მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №777219 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი უგულავამ დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ველოტურის გამყოლი'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდართან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.4. - რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში „ჯომარდობის გამყოლი“ დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს:
1. სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.
2. დაშვების წინაპირობებში და პროგრამის აღწერაში დაემატოს შემდეგი სახის პირობა: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯები.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 3 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 26; პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებული ველური ბუნება.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, მან დასძინა, რომ ველოტურიზმი წარმოადგენს „ნელი ტურიზმის“ იმ სახეობას, რომელიც იძლევა იმ ტერიტორიებთან შეხების შესაძლებლობას, სადაც შენარჩუნებულია ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები. ლანდშაფტი, გასტრონომია, ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები, სოფლის მეურნეობა, ასევე მდგრადობა - ესაა

ველოტურიზმის კონკურენტუნარიანობის უპირატესობა, სწორედ ამ ელემენტთა ერთობლიობას ეძებენ ველოტურისტები, რისთვისაც ისინი გაცილებით მეტ თანხას იხდიან, ვიდრე მასიური ტურიზმის მიმდევრები.
შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ და კერძო სექტორის დაინტერესებამ, მიიღოს პროფესიისთვის შესაბამისი ცოდნა უკვე შემდგარი, პროფესიონალი ველო გამყოლებისგან, სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა პროფესიული გადამზადების პროგრამა „ ველოტურის გამყოლი“.
სალომე ქუთათელაძემ მიზანთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული გადამზადების პროგრამა შედგენილია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და გათვალისწინებულია ველოტურის პრაქტიკოსი გამყოლებისთვის, რომელთაც გააჩნია დარგში სამუშაო გამოცდილება. პროგრამა მიზნად ისახავს ველოტურის გამყოლის პროფესიულ გადამზადებას, რომელიც კომპეტენტურია გაუძღვეს ტურისტს/ტურისტების ჯგუფს სხვადასხვა სირთულისა და ხანგრძლივობის ველოტურისტულ მარშრუტებზე, საერთო სარგებლობის გზებზე, სპეციალურად მონიშნულ ბილიკებზე და უგზოო მონაკვეთებზე. ველოტურის გამყოლის საქმიანობა ნებადართულია ისეთ რელიეფზე, სადაც შესაძლებელია ველოსიპედით გადაადგილება, ასევე მთაგორიან რელიეფზე, სადაც შესაძლებელია რელიეფის სირთულის გამო (დახრა, საფარი) საჭირო გახდეს ველოსიპედიდან ჩამოსვლა და ფეხით გავლა მოკლე დისტანციებზე. ველოტურის გამყოლის საქმიანობა იზღუდება მყინვარებზე.
პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით.
პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი - 18 წელი. აპლიკანტს უნდა ქონდეს - დარგში ან სფეროში მოღვაწეობის გამოცდილება (სპორტსმენი, მწვრთნელი, გიდი) მინიმუმ 1 წელი, დადასტურებული ცნობით ან რეკომენდაციით დამსაქმებლისგან, დარგობრივი ასოციაციისგან ან ფედერაციისგან ან სერტიფიკატი, დიპლომი, სიგელი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი დარგში სწავლის, მუშაობის და მიღწეული წარმატების შესახებ. კურსზე დაშვების ტექნიკური წინაპირობაა: კურსზე დასასწრებად აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია იქონიოს: საკუთრი ველოსიპედი; ჩაფხუტი; ველო ხელთათმანი; სათვალე; წინა და უკანა განათება; ტუმბო ველოსთვის; სათვალე ველოსთვის; ინდივიდუალური ხელსაწყოების ნაკრები.
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება - პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 3 კვირაა, რომელიც მოიცავს 110 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 35-40 საათი. სწავლება ხორციელდება სრულად C სასწავლო გარემოში. ჭიათურის და მესტიის შემოგარენში არსებულ ველებზე, სპეციფიურ საერთო სარგებლობის გზებზე და ველურ ბუნებაში ერთდღიან და მრავალდღიან ტურებზე განმახორციელებლების მუდმივი დაკვირვებით და ხელმძღვანელობით. სპეციფიკიდან და უსაფრთხოების ზომების შესაბამისად თანაბარდობა განმახორცილებლისა და მსმენელის უნდა იყოს 1/5 -ზე. პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 26 მსმენელი, მსმენელები გაიყოფიან ორ ჯგუფად, 13 მსმენელი მესტიის შემოგარენში არსებულ ველობილიკებზე გაივლის სწავლას, ხოლო 13 მსმენელი ჭიათურაში. სხვადასხვა ლოკაციაზე წინასწარ განსაზღვრულ, გონივრულ ვადებში მოხდება პროგრამის სწავლების განხორციელება დაწესებულების მხრიდან.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. დაწესებულებას ყავს პარტნიორი ორგანიზაციები და დადებული აქვს მათთან ვადიანი ხელშეკრულებები. პარტნიორი ორგანიზაციებია: ,,ა(ა)იპ კავკასიის ველო ქსელი'', რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განხორციელებას, ასევე, შეუძლია თავის ტერიტორიაზე მიიღოს საჭიროების შეთხვევაში 26

მსმენელი, ასევე საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს სწავლებისთვის საჭირო ინვენტარს/მასალას.

,,შპს. ჰიპო ველი''- საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

,,შპს ექსტრემალური სათავგადასავლო ბანაკი'', მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ სვერში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებლების განთავსებას.

მოხდა პარტნიორ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება, საიდანაც დგინდება, რომ ისინი ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში და აქვთ მზაობა პროგრამის განხორციელების ეტაპზეც ხელი შეუწყონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 8 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესს საჭირო ინვენტარით, ასევე აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას აქვს 4 ველოსიპედი.

დისტანციურად მოხდა დათვალიერება პარტნიორი ორგანიზაციების და დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინვენტარის.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, გადამზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსი უცხო ენოვანი ინტერნეტ რესურსია. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ინტერნეტ რესურსი ნათარგმნი ქართულ ენაზე.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ველოტურის გამყოლი“ /01651/ მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ველოტურის გამყოლი /01651/ მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებულ ველურ ბუნებაში **(დანართი 7).**

10. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური" ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირაკლი ჟღენტმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780678 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 1 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი.
პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის / პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური'', ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური'', ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური'' დასაბუთების დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად, საქართველოში სასიმაღლო სამუშაოები,
საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეგულირდება. დადგენილების მე-16 მუხლში განხილულია სასიმაღლო სამუშაოების განმახორციელებლებისთვის აუცილებელი სასწავლო კურსის შემდეგი სახის საკითხები: სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო მოდულებს. მან დასძინა, რომ საერთაშორისო შრომით ბაზარზე, სასიმაღლო სამუშაოების სპეციალიტი მოიხსენიება როგორც „სამრეწველო ალპინისტი" და „ინდუსტრიული ალპინისტი". „ინდუსტრიული ალპინიზმი" მოთხოვნადია მრავალ სფეროსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად: ფანჯრების რეცხვა და ფასადების გაწმენდა; თოვლისა და ყინულისგან სახურავის გაწმენდა; იზოლაცია, პანელებს შორის ნაკერების შეკეთება, სახლების გარე კედლების მოხატვა; ბუხრების მონტაჟი და დემონტაჟი; გარე რეკლამის-ბანერების მონტაჟი და დემონტაჟი და სხვ. საქართველოში დღემდე არ არსებობს ერთიანი სივრცე, სადაც სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდგომ, მსმენელები სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის აღებას შეძლებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და ამასთან, „სასიმაღლო სამუშაოების“ შრომით ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ, სკოლა/კოლეჯს მისცა საფუძველი შეექმნა „ინდუსტრიული ალპინიზმის“ სამ საფეხურიანი პროგრამა (მომზადება - 1 საფეხური და გადამზადების - 2, 3 საფეხური). პროგრამები შექმნილია სამთო გიდების ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFGMA) მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით, საერთაშორისო პარტნიორების უშუალო ჩართულობით,

სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ინდუსტრიული ალპინიზმის 1 საფეხური'' გათვალისწინებულია სასიმაღლო სამუშაოების პროფესიის შესწავლის მსურველებისთვის და მიზნად ისახავს სასიმაღლო სამუშაოებზე დასაქმების მსურველების პროფესიულ მომზადებას, სასიმაღლო სამუშაოებისთვის აუცილებელი პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და კონკრეტული მიმართულებით კონკურენტუნარიანობის გაზრდას. პროგრამის მიზანია, მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი რომელიც შეძლებს ვერტიკალურ თოკზე გადაადგილებას, საჭირო მანევრების განხორციელებას და ვერტიკალურ თოკზე დაკიდებული დაზარალებულის სამაშველო ოპერაციის შესრულებას.

პროგრამა ითვალისწინებს ექვსი სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: ასაკი - 18 წელი, ჯანმრთელობის ცნობა: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სხვა მოთხოვნებია: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრების და კვების ხარჯები.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 1 კვირაა, რომელიც მოიცავს 40 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება C გარემოში, სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. სწავლებისას განმახორციელებლისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. მიმდინარე შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება კი ჩატარდება სწავლების ბოლოს და შეფასდება მსმენელების თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული უნარები. პირველი დონის სპეციალისტს ეძლევა უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს მე-2 დონის სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. მუშაობის პროცესში სპეციალისტები ახორციელებენ ერთმანეთის მონიტორინგს და დაზღვეული არიან ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი თოკის სისტემით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამა მთლიანად ხორციელდება C სასწავლო გარემოში, სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე). დაწესებულებას ყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია: ,,შპს მთის გიდების ოფისი'' და ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'', რომელთანაც დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები. ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ პარტნიორი კომპანია ,,შპს მთის გიდები'' უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს ქ. მესტიაში მდებარე სპორტული დარბაზით, ხოლო ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'' უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციას.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ორი განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 8 მსმენელი, აღნიშნული პროგრამა თავისი სპეცეფიკიდან გამომდინარე, სრულად ხორციელდება C საწავლო გარემოში სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე)., სადაც განთავსებულია პროგრამისთვის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარი: დამაგრძელებლები 20ც; დამხმარე თოკები 20ც;, დასაშვები მოწყობილობა 8 ც; კარაბინი 100ც; დაცვის ქამარი 8 ც; თოკი 15 ც. და ჩაფხუტი 8 ც.
სასწავლო რესურსთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. აღნიშნული პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია ერთი უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურა. ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, სამივე საფეხურისთვის.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.
ნინო ბაბალაშვილმა მიმართა სალომე ქუთათელაძეს, წარედგინა მე-2 და მე-3 საფეხურის პროგრამების პრეზენტაცია, რის შემდეგაც საბჭო იმსჯელებდა და სამივე საკითხს ერთად უყრიდნენ კენჭს.

11. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური“ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780677 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4; პროგრამის ხანგრძლივობა - 1 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი.

სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,ინდუსტრიული ალპინიზმის 2 საფეხური'' გათვალისწინებულია სასიმაღლო სამუშაოების პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის და მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სასიმაღლო სამუშაოების პრაქტიკოსი სპეციალისტების პროფესიულ გადამზადებას. პროგრამის მიზანია, სასიმაღლო სამუშაოების სპეციალისტს ასწავლოს: კომპლექსური სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა და თოკზე დაკიდებული დაზარალებულის ტრანსპორტირება როგორც ჰორიზონტალურად ისე ვერტიკალურად.

პროგრამა ითვალისწინებს ოთხი სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია: სამუშაო გამოცდილება: პირველი საფეხურის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის აღებიდან გასულია მინიმუმ 6 თვე ან პირველი საფეხურის სერტიფიკატის აღების შემდგომ, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საწარმოო პრაქტიკის დამადასტურებული ცნობა, გაცემული დამსაქმებლის მიერ. ჯანმრთელობის ცნობა: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სხვა მოთხოვნებია: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრების და კვების ხარჯები.

პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 1 კვირაა, რომელიც მოიცავს 40 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 40 საათი. სწავლება ხორციელდება C გარემოში, სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. სწავლებისას განმახორციელებლისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამა მთლიანად ხორციელდება C სასწავლო გარემოში. დაწესებულებას ყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია: ,,შპს მთის გიდების ოფისი'' და ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'', რომელთანაც დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები. ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ პარტნიორი კომპანია ,,შპს მთის გიდები'' უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს ქ. მესტიაში მდებარე სპორტული დარბაზით, ხოლო ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'' უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციას.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ორი განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 8 მსმენელი, აღნიშნული პროგრამა თავისი სპეცეფიკიდან გამომდინარე, სრულად ხორციელდება C საწავლო გარემოში.

სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

12. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური" ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის №780679 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური'' განხორციელოების უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით. რეკომენდებულია - გასწორდეს პროგრამის მე-2 სასწავლო კვირაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-5; პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 8; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,ინდუსტრიული ალპინიზმის 3 საფეხური'' გათვალისწინებულია სასიმაღლო სამუშაოების პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის და მიზნად ისახავს კადრების გადამზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის მიზანია, სასიმაღლო სამუშაოების სპეციალისტს „ინდუსტრიულ ალპინისტს" განუვითაროს სამუშაო პროცესისთვის აუცილებელი უნარები: სასიმაღლო სამუშაოს დაგეგმვა - განხორციელება, სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობა, უსაფრთხოების მოდელის შემუშავება, პოტენციური საფრთხის იდენტიფიცირება, რისკის შეფასება, საგანგებო სიტუაციებში სამაშველო სამუშაოს ორგანიზება, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს შვიდი სწავლის შედეგის მიღწევას, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია ასაკი: 21 წელი, სამუშაო გამოცდილება: 2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომლის აღებიდან გასულია მინიმუმ 12 თვე და თოკთან მუშაობის ერთწლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი. ჯანმრთელობის ცნობა: ჯანმრთელობის ცნობა სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა". აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. პროგრამის სხვა მოთხოვნებია: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოფს საკუთარი ცხოვრების და კვების ხარჯები.
პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 2 კვირაა, რომელიც მოიცავს 50

საათს, პირველ კვირაში 28 საათია სწავლება, ხოლო მე-2 კვირაში 22 საათი. სწავლება ხორციელდება C გარემოში, სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე) და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. სწავლებისას განმახორციელებლისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/4. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება C გარემოში, ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით. სწავლების დამთავრების შემდეგ მსმენელს შეეძლება დამოუკიდებლად აწარმოოს, დაგეგმოს და განახორციელოს სასიმაღლო სამუშაოები უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ასევე შეეძლება გუნდის კონტროლი და მოვალეობების გადანაწილება.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, დაწესებულებას ყავს 2 პარტნიორი ორგანიზაცია: ,,შპს მთის გიდების ოფისი'' და ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'', რომელთანაც დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები.
ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია, რომ პარტნიორი კომპანია ,,შპს მთის გიდები'' უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს ქ. მესტიაში მდებარე სპორტული დარბაზით, ხოლო ,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია'' უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციას.
ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რომლის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მოითხოვა 8 მსმენელი, მომზადების პროგრამა ,,ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური'' თავის სპეცეფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება C-საწავლო გარემოში, სპეციალურად მოწყობილ და შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში, ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკის შემცველ პირობებში (2 მ. და მეტ სიმაღლეზე).
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები არის ერთი დაწესებულების ეს ნაწილი ანალოგიურია და შესაბამისად შეფასდა ანალოგიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაედასტურებინათ, რომ ერთ კვირაში შესაძლებელია ამ პროგრამის განხორციელება და სწავლის შედეგების მიღწევა.
ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამებს შორის მინიმუმ 6 თვეა შუალედი, რაც ნიშნავს რომ პრაქტიკაში მიიღებენ გამოცდილებას და შემდეგ მოდიან შემდეგ საფეხურზე, შესაბამისად შემდეგი საფეხურის პროგრამის წინაპირობაში გათვალისწინებულია, რომ თუ არ აქვს წინა საფეხურის სერტიფიკატი, შემდეგ საფეხურზე ვერ გააგრძელებს სწავლას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, განემარტათ თუ სად განხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამა, მხოლოდ დახურულ თუ სხვა სივრცეში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ცინცაძემ განმარტა, რომ სამივე საფეხურის პროგრამა განხორციელდებოდა ქ. მესტიის დახურულ სივრცეში და დასძინა, რომ დახურული სივრცე შერჩეული იქნა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ზედა თოკის დამაგრება, სიმაღლე უნდა ყოფილიყო ხუთ მეტრზე მაღალი. მან დასძინა, რომ თუმცა შესაძლებელია ამ პროგრამის გვანხორციელება ყველგან, მაგრამ დარბაზში შესაძლებელია ცუდ

ამინდშიც ჩატარდეს, ხოლო შემდეგ საფეხურზე უკვე შესაძლებელია გარეთა სივრცეში იმოქმედოს.
საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე დაინტერესდა, თუ რა კომპეტენცია ექნებოდა კურსდამთავრებულს პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ, ვინაიდან პირველი საფეხური მომზადების პროგრამაა, სადაც მსმენელი იწყებს სწავლას ნოლიდან, როდესაც პროგრამა არის გადამზადების იქ მსმენელმა შეიძლება უფრო ადვილად აითვისოს, იმიტომ რომ მას აქვს საბაზისო ცოდნა და უნარები, ასევე იცნობს აღჭურვილობას, ასევე თუ რას შეძლებდა მსმენელი პირველი საფეხურის პროგრამის დასრულების შემდეგ, რაზეც არჩილ ცინცაძემ განაცხადა, რომ მსმენელს შეეძლება თოკი დაამაგროს სპეციალური სისტემით, ამ თოკზე ჩამოვიდეს, ასევე ავიდეს, აიყვანოს ან ჩამოიყვანოს ადამიანი, თუ ვინმეს რამე გაუჭირდა, დაეხმაროს.
მსოფლიოში არის სამი-ოთხი პროვაიდერი (ინგლისური, გერმანული და საერთაშორისო სამთო გამყოლების ასოციაცია), ისინი ჩამოვიდნენ და ჩაატარეს კურსები, ჩამოიტანეს მასალა და სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით არის ეს პროგრამები შემუშავებული, რომელიც იმ პროგრამების იდენტურია.
ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ პირველი საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს მხოლოდ მეორე ან მესამე საფეხურის კურსდამთავრებულის მეთვალყურეობის ქვეშ, ცალსახად არის გაწერილი საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტში. დამოუკიდებლად სამუშაოს არ ასრულებს.
გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ პირველი ორი პროგრამა რომ ყოფილიყო გაერთიანებული, უფრო უპრიანი იქნებოდა, ვინაიდან პირველი საფეხურის კურსდამთავრებულს როგორც გამოდის დამოუკიდებლად არ შეუძლია იმუშაოს. რაც შეეხება ერთკვირიან პროგრამებთან დაკავშირებით შეიძლება საერთოდ არ მივიღოთ, უფრო მისაღები იქნებოდა და საინტერესო, რომ პირველი და მეორე საფეხური უნდა ყოფილიყო ერთად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს ამ საკითხთან დაკავშირებით განემარტა, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე უფრო დამხმარე იქნება, რომ ხოლო შემდეგ შეუძლია გაიზარდოს დამოუკიდებლობის დონე.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ორი საფეხურის გაერთიანებას ხელს ის უშლიდა, რომ ყოველი საფეხურის დასრულებას მოსდევს პრაქტიკული უნარების მინიმუმ 6 თვე გაღრმავება, და შემდეგ საფეხურზე უნდა წარმოადგინონ დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად ამ დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე შემდეგ საფეხურზე ვერ ისწავლის.
საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, თვითონ პროგრამა კარგი იქნება მისი აზრით იმ შემთხვევაში, რომ თუნდაც პირველი და მეორე საფეხური ყოფილიყო გაერთიანებული, და დასძინა, რომ ასეთი სახით მისთვის პროგრამა არ იყო მისაღები.
მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები სათათბიროდ გავიდნენ.
სათათბიროდან საბჭოს წევრების დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამივე საფეხურის პროგრამები დღის წესრიგის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური“ /01655/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური /01655/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში **(დანართი 8).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური“ /01656/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური /01656/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში **(დანართი 9).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური“ /01660/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს

პროფესიული მომზადების პროგრამა - ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური /01660/ ქ. მესტიის ალპინისტურ დარბაზში **(დანართი 10).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 17:58 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01658	საცხენოსნო ტურის გამყოლი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	12	წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჩქვარელი

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01675	საფეხმავლო გამყოლი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	7	ქართული	24	ცაგერის, ჭიათურის, ონის, წალენჯიხის, ქობულეთის და მესტიის მუნიციპალიტეტები. (ველური ბუნება)

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01652	თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 1 საფეხური	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	2	ქართული	48	მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01653	თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 2 საფეხური	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	2	ქართული	48	მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01654	თხილამურებით სრიალის მასწავლებელი 3 საფეხური	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	5	ქართული	48	მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01659	ჯომარდობის გამყოლი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	3	ქართული	10	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალპანა

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01651	ველოტურის გამყოლი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	3	ქართული	26	მესტიის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არსებული ველური ბუნება

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01655	ინდუსტრიული ალპინიზმი 1 საფეხური	პროფესიული მომზადება	მეოთხე	1	ქართული	8	ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01656	ინდუსტრიული ალპინიზმი 2 საფეხური	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	1	ქართული	8	ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი

დანართი 10

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01660	ინდუსტრიული ალპინიზმი 3 საფეხური	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	2	ქართული	8	ქ. მესტიის ალპინისტური დარბაზი